სახელი, გვარი: [illegible]
თანამდებობა: [illegible]

საკონკურსო წინადადების შეფასება

- (+) ყველა საკონკურსო წინადადება რჩება გაუხსნელი, უსაფრთხო ადგილზე შესაბამისი გახსნის ცერემონიამდე.
- (+) ტექნიკური წინადებები გაიხსნება ყველა ერთად, გახსნის ცერემონიაზე, რომელსაც უხელმძღვანელებს შპს „საქართველოს მელიორაციის" დირექტორი. შედგება გახსნის ცერემონიის ოქმები.
- (+) ფინანსური წინადადებები არ გაიხსნება ცერემონიის დროს და დაბრუნდება გაუხსნელი, უსაფრთხო ადგილზე. ფინანსური წინადადებები არანაირი სახით არ იქონიებს ზემოქმედებას ტექნიკური წინადადებების შეფასებაზე.
- ტექნიკური წინადადებები, რომლებიც შეიცავენ რაიმე სახის ინფორმაციას ფინანური წინადადების შესახებ, იქნება დისკვალიფიცირებული .
- გახსნილი ტექნიკური წინადადებები პირველ რიგში გაივლის სკრინინგს მისაღებობაზე, ტექნიკური ოფიცრების მიერ, რომლებიც ახდენენ წინადადების შეფასებას და პროექტის მრჩეველის მიერ. ისინი მოახდნენ დისკვალიფიკაციას, იმ შემთხვევაში თუ:
  - წინადადებები არ არის სრულყოფილი
  - არ არის წარმოდგენილი ქართულ და ინგლისურ ენებზე
  - არ შეიცავენ უკანასკნელი 5 წლის სამუშაო გამოცდილებას (ხელმოწერილი რეკომენდაციების საფუძველზე), რომელიც შეესაბამება ტექნიკური დავალების მინიმალურ მოთხოვნებს.

    - (+) დადასტურებული გამოცდილება ადგილის კვლევაში, 5000-ჰა-ზე მეტი ფართობის თვითდინებით სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის პროექტებში.
    - დადასტურებული გამოცდილება გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასების და გარემოს დაცვის და სოციალური მართვის გეგმების პროექტების მომზადებაში 5000 ჰა-ზე მეტი ფართობის სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის პროექტებისთვის, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის IFC Performance Standards -ების შესაბამისად
    - დადასტურებული გამოცდილება 5000-ზე მეტი ბენეფიციარის (მცირე მეურნეობები) სრული იდენტიფიცირების და სოციალურ-ეკონომიკური დახასიათების განხორციელებაში
    - დადასტურებული გამოცდილება სოფლის მეურნეობის სექტორისთვის და სარწყავი სისტემებისთვის ფინანსური და ეკონომიკური ანალიზის განხორციელებაში
    - (+) დადასტურებული გამოცდილება მარცვლეულისთვის, ბოსტნეულისთვის და ხილისთვის ღირებულებათა ჯაჭვის შეფასების და საბაზრო კველევის ჩატარებაში საქართველოში და/ან ევრო-კავშირში
    - (+) დადასტურებული გამოცდილება, ირიგაციის დეპარტამენტისთვის და/ან კომუნალური კომპანიებისათვის სატარიფო პოლიტიკის შემუშავებაში, ხარჯების სრულ ამოღებაზე დაფუძნებით, ცვეთის და ზედნადები ხარჯების ჩათვლით.
    - (+) დადასტურებული გამოცდილება 10 000 ჰა-ზე მეტი ფართობის თვითდინებით სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის პროექტის შემუშავებაში, ტექნიკური სპეციფიკაციების და ხარჯთაღრიცხვების ჩათვლით

- ისინი არ შეიცავენ სერთიფიკატებს (მოწმობებს), ფინანსურ ანგარიშებს და დეკლარაციებს, რომლებიც წარმოადგენენ ტექნიკური დავალების მინიმალურ მოთხოვნებს:
  - საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატი ხარისხის უზრუნველყოფის პრეტენდენტის ოპერაციების, რომლებიც შესაბამისი შესასრულებელი სამუშაოს ამ ტექნიკურ დავალებაში
  - კონკურსის მონაწილის და მისი შესაძლო კონსორციუმის პარტნიორის საშუალო წლიური ბრუნვა სულ მცირე 3 მილიონი ევროს ოდენობით (უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, რომელიც დასტურდება აუდიტის მიერ შემოწმებული წლიური ფინანსური ანგარიშებით)
  - კონკურსის მონაწილის და მისი კონსორციუმის პარტნიორის დადასტურებული გადახდისუნარიანობა(კრედიტუნარიანობა)(უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, რომელიც დასტურდება აუდიტის მიერ შემოწმებული წლიური ფინანსური ანგარიშებით), რომელიც უნდა შეადგენდეს სულ მცირე 20%. გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი = (წმინდა წლიური მოგება +ცვეთა)/ვალდებულებები.
  - გარანტია ,რომ კონტრაქტის შესრულების პერიოდში, კონკურსის მონაწილეები, ასევე მათი პერსონალი, აგენტები, ქვე-კონსულტანტები, ქვე-კონტრაქტორები, მომსახურების მიმწოდებლები, მიმწოდებლები და /ან მათი თანამშრომლები დაიცავენ 2012 წლის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის Performance standards და საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის კონვენციებს.
  - გარანტია, რომ არც კონკურსის მონაწილე და არც მისი ქვე-კონტრაქტორები, მომსახურების მიმწოდებლები და/ან მიმწოდებლები არ იყენებენ იძულებით/ან ბავშვთა შრომას, როგორც განსაზღვრულია საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის 29,105,138 და 182 კონვენციებში.
  - გარანტია, რომ არც კონკურსის მონაწილე და არც მისი პერსონალი, აგენტები, ქვე-კონსულტანტები, ქვე-კონტრაქტორები, მომსახურების მიმწოდებლები და/ან მისი მიმწოდებლები არ არიან ჩართულები , პირდაპირ ან არაპირდაპირად, მექრთამეობაში ან სხვა რომელიმე არალეგალურ საქმიანობაში, კორუფციაში, თაღლითობაში, შეთქმულებაში, იძულებით ან შემაფერხებელ საქმიანობაში ზემოაღნიშნული კონტრაქტისთვის კონკურენციაში. (კონკურსში)
  - გარანტია, რომ კონტრაქტის შესრულების დროს, კონკურსის მონაწილეები, ასევე მათი პერსონალი, აგენტები, ქვე-კონსულტანტები, ქვე-კონტრაქტორები, მომსახურების მიმწოდებლები, მიმწოდებლები და/ან მათი თანამშრომლები დაიცავენ ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის ინსტრუქციებს მრავალეროვანი საწარმოებისათვის (2011 წლის გამოცემა)
  - კონკურსის მონაწილემ უნდა განაცხადოს, რომ შეესაბამება CSR-ს, ხელმოწერილი დეკლარაციის თანახმად.

- დისკვალიფიცირებული სატენდერო წინადადებები უკან დაუბრუნდებათ წარმომდგენ მხარეებს გაუხსნელ ფინანურ წინადადებასთან და წერილთან ერთად, რომელშიც აღნიშნული იქნება, რომ მათ ვერ დააკმაყოფილეს მინიმალური მოთხოვნები. ისინი არ შეფასდება კომიტეტის მიერ.

- კვალიფიციური წინადადებები შეფასდება შერჩევის კრიტერიუმების საფუძველზე:

- A: სამუშაო გეგმას და სამუშაოთა მოცულობისთვის მიდგომის და მეთოდოლოგიის აღწერას, პერსონალის დაკომლექტების ცხრილს და ყველა შედეგის ადექვატურად შესრულების მიზნით შემოთავაზებული ჯგუფის შემადგენლობის აღწერას (რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 'ა" 4 ფორმატის 5 გვერდზე მეტს და უნდა შეადგენდეს ტექნიკური წინადადების შეფასების ქულის 30%-ს)

კომიტეტი შეაფასებს სამუშაო გეგმას, მიდგომას და მეთოდოლოგიას 5 კრიტერიუმის მიხედვით;

ა1. ამოცანების გააზრება (გაგება)

- *არის თუ არა წინადადებაში საკმარისად გააზრებული დავალების ამოცანები?*
- *არის თუ არა წინადადებაში კარგად გადმოცემული დავალების მისაღები შედეგები?*
- *არის თუ არა წინადადებაში კარგად გადმოცემული თუ როგორ არის დაკავშირებული ერთმანეთთან სხვადასხვა მისაღები შედეგები?*
- *არის თუ არა წინადადებაში განსაზღვრული მისაღები შედეგების რაოდენობა?*
- *შეესაბამება თუ არა წინადადებაში შედეგების ხარისხი ტექნიკური დავალებას არსით?*
- *შეიცავს თუ არა ის ტექნიკური დავალების ყველა აუცილებელ და სტრატეგიულ ელემენტს?*
- *არის თუ არა სატენდერო წინადადებაში მოცემული იმაზე მეტი, ვიდრე ტექნიკურ დავალებაში შეჯამებული?*
- *იღებს თუ არა პასუხისმგებლობას ტენდერის მონაწილე შედეგების მიღებაზე?*
- *არის თუ არა ანგარიშვალდებული და წარმოადგენს თუ არა ტენდერის მონაწილე ღონისძიებებს შედეგების მართვაზე და შედეგების ადექვატურად მიღებაზე ?*
- *აქვს თუ არა ტენდერის მონაწილეს შენიშვნები ტექნიკურ დავალებაზე, რაც უმატებს ღირებულებას ტექნიკურ დავალებას?*

ქულა: 90 /100

- *ა 2. მეთოდოლოგიის ხარისხი*
- *არის თუ არა სატენდერო წინადადებაში დავალება ჩაშლილი სხვადასხვა კომპონენტებად?*
- *არის თუ არა მასში ნათლად წარმოდგენილი მეთოდოლოგია თითოეული კომპონენტის მართვის შესახებ?*
- *ადასტურებენ თუ არა მონაწილები რომ მათ წარმატებით გამოიყენეს აღნიშნული მეთოდოლოგიები ადრე და შეუძლიათ თუ არა მათ შეიმუშაონ სხვა ნაბიჯები და სხვა მისაღწევი შედეგები ?*
- *ხომ არ არის რაიმე ინტელექტუალური საკუთრება, რომელიც ზღუდავს მეთოდოლოგიის თავისუფალ გამოყენებას?*
- *ითვალისწინებს თუ არა შემოთავაზებული მეთოდოლოგიები გენდერულ საკითხებს და ჩართულობას?*
- *საკმარისად ითვალისწინებს თუ არა მდგრადობის საკითხებს?*
- *ხსნის თუ არა ტენდერის მონაწილე ადექვატურად თუ რატომ აირჩია მან აღნიშნული მეთოლდოლოგია და რა არის მისი უპირატესობები სხვა არსებულ მეთოდოლოგიებთან შედარებით?*
- *მოსალოდნელია თუ არა რომ მეთოდოლოგიამ ადექვატურად გამოიღოს ყველა შედეგი, ტექნიკურ დავალების მოთხოვნის შესაბამისად?*
- *აქვს თუ არა შემოთავაზებულ შტატს საკმარისი კომპეტენცია შემოთავაზებულ მეთოდოლოგიებში?*

ქულა: 80 /100

ა 3. სამუშაო გეგმა

- *არის თუ არა სამუშო გეგმა სრულყოფილი? ხომ არ არის მასში რაიმე გამორჩენილი?*
- *არის თუ არა ის რეალისტური საქმიანობებზე გამოყოფილი დროის კუთხით?*
- *მიყვება თუ არა ის ძირითად ხაზს? (გულისხმობს, რომ თითოეული საქმიანობა იწყება მაშინვე , როგორც კი უზრუნველყოფილი იქნება მისი განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი შედეგები)*
- *ხომ არ შეიცავს ის ზედმეტ საქმიანობებს ან ისეთ საქმიანობებს, რომლებიც არ არის მოცემული ტექნიკურ დავალებაში?*
- *არის თუ არა საქმიანობები ჩამოყალიბებული ტექნიკურ დავალებაში მოცემული შედეგების მიხედვით?*
- *არის თუ არა სამუშაო გეგმა საკმარისად დეტალური?*
- *არის თუ არა სამუშაო გეგმა მორგებული თითოეული შედეგზე გამოყოფილ დროზე? (შეესაბამება თუ არა თითოეულ შედეგზე გამოყოფილ დროს?)*
- *არის თუ არა სამუშაო გეგმა საკმარისად მოქნილი, გაუთვალისინებელი გარემობებების და შეზღუდვების გაჩენის შემთხვევაში?*
- *აძლევს თუ არა სამუშაო გეგმა შპს „საქართველოს მელიორაციას" კონტრაქტის მიმდინარეობის ადექვატური მონიტორინის და შეფასების საშუალებას?*
- *არის თუ არა გამოყოფილი სამუშაო გეგმაში საკმარისი დრო შპს „საქართველოს მელიორაციაში ხარისხის კონტროლისათვის და გადაწყვეტილების მიღებისათვის ?*
- *შეიცავს თუ არა სამუშაო გეგმა სპეციფიურ საქმიანობებს, საზოგადოების ჩართულობის, გენდერული და მდგრადობის ანალიზის უზრუნველყოფისათვის?*

ქულა: 85 /100

ა4. შტატების დაკომპლექტების ცხრილი

- *უზრუნველყოფს თუ არა ადექვატურად შტატების დაკომპლექტების ცხრილი ყველა საქმიანობას და კომპეტენციას, რომელიც საჭიროა სამუშაო გეგმის განსახორციელებლად?*
- *არის თუ არა სხვადასხვა შტატზე დროის განაწილება რეალისტური? შესაძლებელია თუ არა რომ შტატმა შეძლოს საქმიანობების განხორციელება განსაზღვრულ (დადგენილ) დროში? არის თუ არა დრო სწორედ განსაზღვრული? (გადაჭარბებით ან არასაკმარისად)*
- *შეიცავს თუ არა შტატების დაკომპლექტების ცხრილი შტატის ყველა მინიმალურ მოთხოვნილ ფუნქციას, ტექნიკური დავალების მოთხოვნის შესაბამისად?*
- *არის თუ არა შტატების დაკომლექტების ცხრილში მითითებული სხვა შტატის წევრების სახელები და არსებობა (ხელმისაწვდომობა)?*
- *არის თუ არა შტატის დაკომპლექტების ცხრილში ნაჩვენები ეფექტურობა და ეკონომიურობა?*
- *არის თუ არა მასში ნაჩვენები ფულის ღირებულება?*
- *არის თუ არა შტატების დაკომპლეტების ცხრილი ურთიერთდაკავშირში სამუშაო გეგმასთან?*
- *არის თუ არა შტატების დაკომპლექტების ცხრილი სრულყოფილი?*

ქულა: 75 /100

ა 5. წინადადების წარდგენა

- *არის თუ არა წინადადება ადვილად წასაკითხი და გასაგები?*
- *არის თუ არა ის თანმიმდევრული და სრულყოფილი?*
- *პასუხობს თუ არა დასმულ საკითხს?*
- *შეიცავს თუ არა შემაწუხებელ ტექსტობრივ (ტიპოგრაფიულ) შეცდომებს?*

ქულა: 75 /100

თითოეული მათგანი უნდა შეფასდეს 0დან 100მდე, სადაც:

- 100 ნიშნავს საუკეთესოს (უზრუნველყოფს ტექნიკური დავალების ყველა მოთხოვნის შესრულებას ბევრად უფრო მაღალ დონეზე)
- 90 - 99 ნიშნავს ძალიან კარგს (უზრუნველყოფს ტექნიკური დავალების ყველა მოთხოვნის შესრულებას ძალიან კარგ დონეზე);
- 80 - 89 ნიშნავს საშუალოზე მაღალს (გულისხმობს, რომ წინადადება სხვა დანარჩენზე უკეთესია ტექნიკური დავალების მოთხოვნების და მოსალოდნელი ხარისხის ნორმების კუთხით)
- 70 - 79 ნიშნავს საშუალოს (გულისხმობს, რომ წინადადება არ გამოირჩევა სხვა დანარჩენებისგან, თუმცა კვლავ აკმაყოფილებს ტექნიკური დავალების მოთხოვნებს და ხარისხის მინიმალურ სტანდარტებს)
- 1 – 69 ნიშნავს საშუალოზე დაბალს (გულისხმობს, რომ ტენდერის მონაწილის სამუშაო გეგმა, მიდგომა და მეთოდოლოია ვერ შეესაბამება ტექნიკური დავალების მოთხოვნებს ან მნიშვნელოვნად ჩამორჩება ხარისხით)

შეფასების კომიტეტის წევრები შეაფასებენ აღნიშნულ კრიტერიუმეს დამოუკიდებლად, ერთმანეთთან ყოველგვარი კონსულტაციების გარეშე და შეავსებენ ქულების ფურცელს.

- B: დამაჯერებელი მონათხრობი იმის შესახებ, თუ როგორ არის გაერთიანებული პროექტში სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის და მართვის საუკეთესო პრაქტიკა (რომელიც არ უნდა აღემატებოდეს „ა“ 4 ფორმატის 5 გვერდზე მეტს და შეადგენდეს ტექნიკური წინადადების შეფასების ქულის 20%-ს).
-

კომიტეტი შეაფასებს საუკეთესო პრაქტიკას ორი კრიტერიმის მიხედვით

B1. სარწყავი ისტემების რეაბილიტაციის პრაქტიკა

ანალიზებს თუ არა ტენდერის მონაწილე ადექვატურად და დამაჯერებლად საქართველოში ან სხვა ქვეყანაში განხორციელებული მსგავისი მასშტაბის, დაგეგმვის მნიშვნელობის (კონტექსტის) სხვა საკონკურსო სარეაბილიტაციო პროექტებიდან მიღებულ გამოცდილებას?

- *აღწერს ტუ არა სატენდერო წინადადება რომელია სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის საუკეთესო პრაქტიკა?*
- *და თუ აღწერს, მიუთითებს თუ არა შესაბამის ლიტერატურას და ექსპერტთა დასკვნებს?*
- *აღწერს თუ არა რატომ არის აღნიშნული პრაქტიკა მიჩნეული გადამწყვეტად?*
- *ხომ არ არის მასში გამორჩენილი მნიშვნელოვანი ტექნიკური, სოციალურ-ორგანიზაციული, ინსტიტუციური, სოციო-ეკონომიური, გარემოს დაცვითი და გენდერული ასპექტები ან პრატიკა?*
- *უზუნველყოფს (ითვალისწინებს) თუ არა წინადადება ადექვატურად ერთობლივ შეზღუდვებს საზოგადოების ჩართულობის, ოპტიმალური ტექნიკური ვარინტების, წყლის სისტემების ჯეროვანი მოვლა-შენახვის და მართვის,*

ფინანსური და ორგანიზაციული მდგრადობის, შესაბამისი ხარისხის მართვის და მისაღები ხარჯების ეფექტურობის კუთხით?

- წარმოადგენს თუ არა ის დამაჯერებელ მაგალითებს ტენდერის მონაწილეების სამუშაო გამოცდილებიდან თუ როგორი ყურადღება მიექცა აღნიშნულ პრაქტიკას და რა შედეგები გამოიღო მან?
- არის თუ არა შემოთავაზებული პრაქტიკა მისაღები ზემო სამგორის პროექტისთვის?
- არის თუ არა სატენდერო წინადადებაში სრულყოფილად და დამაჯერებლად ახსნილი თუ როგორ არის აღნიშნული პრაქტიკა გათვალისიწნებული სამუშაო გეგმაში?
- არის თუ არა ტენდერის მონაწილე მზად გამოიყენოს ზემო სამგორის სისტემაზე რეაბილიტაცის საუკუთესო პრაქტიკა?

ქულა: 90 /100

<u>B2. სარწყავი სისტემის მართვის საუკეთესო პრაქტიკა</u>

- აანალიზებს თუ არა ტენდერის მონაწილე ადექვატურად და დამაჯერებლად საქართველოში ან სხვა ქვეყანაში განხორციელებული მსგავსი მასშტაბის, დაგეგმვის და მნიშვნელობის (კონტექსტის) სხვა საკონკურსო სარეაბილიტაციო პროექტებიდან მიღებულ გამოცდილებას იმ კუთხით, თუ როგორ გაუმჯობესდება ან შეიზღუდება სისტემის მართვა რეაბილიტაციის პროექტით და შემოთავაზებული ორგანიზაციული ღონისძიებებით.?
- არის თუ არა სატენდერო წინადადებაში აღწერილი სარწყავი სისტემის მართვის რომელი საუკეთესო პრაქტიკა არსებობს და რადმენად არის ის დაკავშირებული რეაბილიტაციის პროექტთან?
- და თუ არის, რამდენად არის მასში მითითებული შესაბამისი ლიტერატურა და ექსპერტთა დასკვნები?
- არის თუ არა მასში აღწერილი თუ რატომ არის მიჩნეული აღნიშნული პრაქტიკა გადამწყვეტად?
  - ხომ არ არის მასში გამორჩენილი მნიშვნელოვანი ტექნიკური, სოციალურ-ორგანიზაციული, ინსტიტუციური, სოციო-ეკონომიური, გარემოს დაცვითი და გენდერული ასპექტები ან პრატიკა?
  - უზუნველყოფს (ითვალისწინებს) თუ არა წინადადება ადექვატურად ერთობლივ შეზღუდვებს საზოგადოების ჩართულობის, ოპტიმალური ტექნიკური ვარინტების, წყლის სისტემების ჯეროვანი მოვლა-შენახვის და მართვის, ფინანსური და ორგანიზაციული მდგრადობის, შესაბამისი ხარისხის მართვის და მისაღები ხარჯების ეფექტურობის კუთხით
- არის ტუ არა სატენდერო წინადადებაში მოყვანილი დამაჯერებელი მაგალითები მონაწილის სამუშაო გამოცდილებიდან თუ როგორი ყურადღება მიექცა აღნიშნულ საუკეთესო პრაქტიკას პროექტირების ეტაპზე?- და რა შედეგები გამოიღო მან?
- არის თუ არა მისაღები და შეესაბამება თუ არა შემოთავაზებული პრაქტიკები ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის პროექტს და კონტექსტს?
- არის თუ არა სატენდერო წინადადებაში სრულყოფილად და დამაჯერებლად ახსნილი როგორ იქნება გათვალისიწნებული აღნიშნული პრაქტიკა სამუშაო გეგმაში?
- არის თუ არა მზად ტენდერის მონაწილე გამოიყენოს ზემო სამგორის სარწყავ სისტემაზე საუკეთესო მართვის პრაქიკა?

ქულა: 85 /100

თითოეული მათგანი უნდა შეფასდეს 0დან 100მდე, სადაც:

- 100 ნიშნავს საუკეთესოს (უზრუნველყოფს ტექნიკური დავალების ყველა მოთხოვნის შესრულებას ბევრად უფრო მაღალ დონეზე)
- 90 - 99 ნიშნავს ძალიან კარგს (უზრუნველყოფს ტექნიკური დავალების ყველა მოთხოვნის შესრულებას ძალიან კარგ დონეზე);
- 80 - 89 ნიშნავს საშუალოზე მაღალს (გულისხმობს, რომ წინადადება სხვა დანარჩენზე უკეთესია ტექნიკური დავალების მოთხოვნების და მოსალოდნელი ხარისხის ნორმების კუთხით)
- 70 - 79 ნიშნავს საშუალოს (გულისხმობს, რომ წინადადება არ გამოირჩევა სხვა დანარჩენებისგან, თუმცა კვლავ აკმაყოფილებს ტექნიკური დავალების მოთხოვნებს და ხარისხის მინიმალურ სტანდარტებს)
- 1 – 69 ნიშნავს საშუალოზე დაბალს (გულისხმობს, რომ ტენდერის მონაწილის სამუშაო გეგმა, მიდგომა და მეთოდოლოია ვერ შეესაბამება ტექნიკური დავალების მოთხოვნებს ან მნიშვნელოვნად ჩამორჩება ხარისხით)

შეფასების კომიტეტის წევრები შეაფასებენ აღნიშნულ კრიტერიუმეს დამოუკიდებლად, ერთმანეთთან ყოველგვარი კონსულტაციების გარეშე და შეავსებენ ქულების ფურცელს.

- C: შესაბამისი ხარისხის საგარანტიო სისტემების აღწერა (რომელიც არ უნდა აღემატებოდეს „ა“ 4 ფორმატის 2 გვერდზე მეტს და შეადგენდეს ტექნიკური წინადადების შეფასების ქულის 10%-ს)
-

კომიტეტი შეაფასებს საუკეთესო პრაქტიკას ორი კრიტერიუმის მიხედვით:

g1C1: ხარისხის სისტემის სრულყოფა

- *აღწერს თუ არა ტენდერის მონაწილემ წინადადებაში ადექვატურად და დამაჯერებლად ,თუ რომელი ხარისხის სისტემით იხელმძღვანელებს დავალების დროული, სრული და დამაკმაყოფილებელად შესრულების უზრუნველყოფის მიზნით?*
- *ხარისხის სისტემა ეფუძნება სექტორისთვის მისაღებ საერთაშორისო თუ ქართულ (საქართველოს) პროფესიულ ხარისხის სტანდარტებს ?*
- *ტენდერის მონაწილე აღწერს თუ არა სხვადასხვა საფეხურებს და საქმიანობებს , რომელსაც ის განახორციელებს ხარისხის მართვის მიზნით?*
- *სისტემა ადეკვატურად უზრუნველყოფს თუ არა ყველა იმ ძირითად პრობლემის მოგვარებას, რომელიც შეიძლება ჰქონდეს შპს 'საქართველოს მელიორაციას?*
- *იძლევა თუ არა ის პროექტების (დიზაინების) ტექნიკური ხარისხის შესაბამისი ზედამხედველობის საშუალებას?*
- *იძლევა თუ არა ის შტატების შედეგებზე-დაფუძნებული მართვის და ანგარიშვალდებულობის საშუალებას?*
- *მოიცავს თუ არა ის საკმარის დროს და პროცედურებს დრაფტების (სამუშაო ვერსიების) განხილვა/გადახედვისთვის, შენიშვნების და შესაძლო პრეტენზიების გათვალისიწნებისათვის?*
- *იძლევა უ არა ის ალტერნატიული მოსაზრებების ან ექსპერტული შეფასების საშუალებას?*
- *შეიცავს თუ არა ის გენდერულ, ჩართულობის და მდგრადობის პრობლემებს(საკითხებს)?*

- *მოიცავს თუ არა ის ადექვატურ კონტროლის ღონისძიებებს (ზომებს) და შესაძლო სანქციებს ან უკუქმედების (რეაგირების) ჯაჭვს?*
- *დამუშავეულია თუ არა სისტემაში პროცედურები, სახელმძღვანელოები, გაიდლაინები ან ინსტრუქციები?*
- *ადექვატურად უზრუნველყოფს თუ არა ის ყველა შედეგს?*

ქულა: 75 /100

<u>გ 2 C2: ხარისხის სისტემის დამოწმება</u>

- *არის თუ არა აღწერილი ხარისხის სისტემა სერთიფიცირებული ?*
- *ეფუძნება თუ არა აღნიშნული სერთიფიკატი საერთაშორისო ან ქართულ (საქართველს) ხარისხის ნორმებს და სტანდარტებს?*
- *ამოწმებს თუ არა დამოუკიდებელი და რეპუტაციის მქონე პროფესიონალი მხარე აღნიშნულ ხარისხის სისტემას?*
- *აღნიშნული სერთიფიკატი გადის თუ არა რეგულარულ შემოწმებებს და გადახედვებს?*
- *წარმოადგენს თუ არა ტენდერის მონაწილე სერთიფიცირების(სერთიფიკატის) დამაჯერებელ და თანამედროვე მოთხოვნებისთვის შესაბამის მტკიცებულებას ?*
- *უზრუნველყოფს თუ არა აღნიშნული სერთიფიცირება პროცედურებს, შტატებს და შედეგებს?*
- *აქვს თუ არა ტენდერის მონაწილეს სერთიფიკატი უფრო გრძელი ვადით?(უფრო გრძელვადიანი სერთიფიკატი)*
- *გამოიყენება თუ არა მან (ტენდერის მონაწილემ) ის წარმატებით სხვა საკონკურსო პროექტებში, რომლებშიც ჩართული იყვნენ საქართველოს მთავრობა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები ?*
- *შეესაბამება თუ არა ეს სერთიფიკატი RVO's CSR ს მოთხოვნებს?*

ქულა: 85 /100

თითოეული მათგანი უნდა შეფასდეს 0დან 100მდე, სადაც:

- 100 ნიშნავს საუკეთესოს (უზრუნველყოფს ტექნიკური დავალების ყველა მოთხოვნის შესრულებას ზევრად უფრო მაღალ დონეზე)
- 90 - 99 ნიშნავს ძალიან კარგს (უზრუნველყოფს ტექნიკური დავალების ყველა მოთხოვნის შესრულებას ძალიან კარგ დონეზე);
- 80 - 89 ნიშნავს საშუალოზე მაღალს (გულისხმობს, რომ წინადადება სხვა დანარჩენზე უკეთესია ტექნიკური დავალების მოთხოვნების და მოსალოდენელი ხარისხის ნორმების კუთხით)
- 70 - 79 ნიშნავს საშუალოს (გულისხმობს, რომ წინადადება არ გამოირჩევა სხვა დანარჩენებისგან, თუმცა კვლავ აკმაყოფილებს ტექნიკური დავალების მოთხოვნებს და ხარისხის მინიმალურ სტანდარტებს)
- 1 – 69 ნიშნავს საშუალოზე დაბალს (გულისხმობს, რომ ტენდერის მონაწილის სამუშაო გეგმა, მიდგომა და მეთოდოლოია ვერ შეესაბამება ტექნიკური დავალების მოთხოვნებს ან მნიშვნელოვნად ჩამორჩება ხარისხით)

შეფასების კომიტეტის წევრები შეაფასებენ აღნიშნულ კრიტერიუმეს დამოუკიდებლად, ერთმანეთთან ყოველგვარი კონსულტაციების გარეშე და შეავსებენ ქულების ფურცელს.

- D: ძირითადი შტატის რეზიუმეები (თითოეული რეზიუმე არ უნდა აღემატებოდეს „ა“ 4 ფორმატის 2 გვერდზე მეტს და ტექნიკური წინადადების შეფასების ქულის 40%-ს). რეზიუმეები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

კომიტეტი შეაფასებს ძირითადი შტატის რეზიუმეებს ცალ-ცალკე და შეამოწმებს რამდენად შეესაბამებიან ისინი ტექნიკური დავალების მოთხოვნებს.

D1: ირიგაციის/მშენებელ-ინჟინერი (შედეგი 1 და 4)

- *ირიგაციის/მშენებელ ინჟინერის ან მსგავსი საუნივერსიტეტო ხარისხი*
- *სულ მცირე 15 წლის სამუშაო გამოცდილება დიდ-მასშტაბიანი საზოგადოებრივი საირიგაციო ინფრასტრუქტურის პროექტირებასა და რეაბილიტაციაში (გზების, ხიდების, სარწყავი და დამშრობი სისტემების ჩათვლით); სასურველია განვითარების პროექტებისთვის, სააგენტოებისთვის ან ინსტიტუტებისთვის*
- *გამოცდილება საირიგაციო პროექტების შემუშავების მიზნით მრავალდარგოვანი ჯგუფების ხელმძღვანელობაში*
- *გამოცდილება საირიგაციო და ჰიდრავლიკურ ნაგებობებში, სარწყავი და სადრენაჟე სისტემების დაგეგმვის, პროექტირების და ხარჯთაღრიცხვის მომზადების ჩათვლით.*
- *შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის და კულტურების მოდელირებისთვის, რწყვის მოთხოვნების ღრმა ცოდნა*
- *საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და რეგულაციების ღრმა ცოდნა*
- *სარწყავი სისტემების რეაბილიტაციაში საუკეთესო პრაქტიკის ღრმა ცოდნა და აღნიშნულის დეტალურ პროექტში გამოყენების უნარი*
- *საინჟინრო ხარჯთაღრიცხვების მომზადების გამოცდილება, მიმდინარე საბაზრო ფასებზე დაყრდნობით*

ქულა: 80 /100

D2: ჰიდროლოგი/წყლის რესურსების ექსპერტი (შედეგი 1 და 4)

- *საუნივერსიტეტო ხარისხი ჰიდრავლიკასა და ჰიდროლოგიაში*
- *სულ მცირე 10 წლის გამოცდილება წყლის რესურსების მართვასა და ჰიდრავლიკური ნაგებობების განვითარებაში*
- *გამოცდილება წყლის რესურსების განვითარების დაგეგმვასა და წყალსამეურნეო ბალანსის კვლევებში.*
- *გამოცდილება რწყვად აგრარულ სექტორში წყლის გამოყენების ეფექტურობის გაუმჯობესებაში*
- *გამოცდილება სპეციფიური სარწყავ სისტემაზე წყლის რესურსების კომპლექსური ანალიზის ჩატარებაში, წყალმომხმარებლებისთვის სხვადასხვა წყლის სამუშაოების ჩათვლით*

ქულა: 75 /100

D3: გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასების/საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის სტანდარტების სპეციალისტი (კვალიფიკაცია სოციალურ მეცნიერებებში) შედეგი 2)

- *საუნივერსიტეტო ხარისხი გარემოს დაცვაში ან სოციალურ მეცნიერებებში*
- *სულ მცირე 10 წლის სამუშაო გამოცდილება გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასებაში, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის IFC*

Performance standards -ების გამოყენებით, განსაკუთრებით მიწასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

- *გამოცდილება გარემოზე და სოციალური ზემოქმედების რისკებზე ანგარიშების მომზადებში და სიღრმისეული შეფასებების შემუშავებაში .*
- *გამოცდილება გარემოს დაცვის და სოციალური მართვის გეგმების შემუშავებაში..*

ქულა: 85 /100

D4: აგრო-ეკონომისტი /ფინანსური ანალიტიკოსი (შედეგი 3)

- *საუნივერსიტეტო ხარისხი ეკონომიკაში ან ბიზნესის მართვაში ან დაკავშირებულ სფეროში*
- *სულ მცირე 10 წლის სამუშაო გამოცდილება განვითარების საინვესტიციო კვლევების განხორციელებაში, სასურველია განვითარების პროექტებისთვის, სააგენტოებისთვის ან ინსტიტუტებისთვის.*
- *გამოცდილება წყლის რესურსების პროექტების და სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების შეფასებაში.*
- *გამოცდილება სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების, მარკეტინგის და ღირებულებათა ჯაჭვის ფინანსურ ანალიზში*
- *საქართველოს რეგიონებში განვითარების საკითხებზე, განსაკუთრებით ბიზნესთან, მარკეტინგთან, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საკითხეზე წვდომა*
- *გამოცდილება საფასურის გადახდაზე სურვილის და უნარის (შესაძლებლობის) შესახებ კვლევების ჩატარებაში*

ქულა: 90 /100

თითოეული მათგანი უნდა შეფასდეს 0დან 100მდე, სადაც:

- 100 ნიშნავს საუკეთესოს (უზრუნველყოფს ტექნიკური დავალების ყველა მოთხოვნის შესრულებას ბევრად უფრო მაღალ დონეზე)
- 90 - 99 ნიშნავს ძალიან კარგს (უზრუნველყოფს ტექნიკური დავალების ყველა მოთხოვნის შესრულებას ძალიან კარგ დონეზე);
- 80 - 89 ნიშნავს საშუალოზე მაღალს (გულისხმობს, რომ წინადადება სხვა დანარჩენზე უკეთესია ტექნიკური დავალების მოთხოვნების და მოსალოდნელი ხარისხის ნორმების კუთხით)
- 70 - 79 ნიშნავს საშუალოს (გულისხმობს, რომ წინადადება არ გამოირჩევა სხვა დანარჩენებისგან, თუმცა კვლავ აკმაყოფილებს ტექნიკური დავალების მოთხოვნებს და ხარისხის მინიმალურ სტანდარტებს)
- 1 – 69 ნიშნავს საშუალოზე დაბალს (გულისხმობს, რომ ტენდერის მონაწილის სამუშაო გეგმა, მიდგომა და მეთოდოლოია ვერ შეესაბამება ტექნიკური დავალების მოთხოვნებს ან მნიშვნელოვნად ჩამორჩება ხარისხით)

შეფასების კომიტეტის წევრები შეაფასებენ აღნიშნულ კრიტერიუმეს დამოუკიდებლად, ერთმანეთთან ყოველგვარი კონსულტაციების გარეშე და შეავსებენ ქულების ფურცელს.

- კომიტეტის თითოეული წევრის ქულა დაითვლება და გამოიყვანება საშუალო არითმეტიკული (ქულა). რადიკალურად განსხვავებული (საწინააღმდეგო) ქულების შემთხვევაში გაიმართება მოკლე განხილვა (დისკუსია) გამომწვევი მიზეზების დასადგენად.

- შეხვედრაზე დამტკიცდება (დადგინდება)საშუალო ქულები, როგორც შეფასების ობიექტური შედეგი . შედგება შეხვედრების ოქმები
- თითოეულ წინადადებაზე გამოითვლება მთლიანი (ერთიანი) ტექნიკური ქულა.მხოლოდ ის ტექნიკური წინადადებაიქნება განხილული, რომლის ერთიანი ტექნიკური ქულა მეტი იქნება 75%-ზე, სხვა დანარჩენი არ განიხილება.
- სატენდერო წინადადებები, რომლებიც არ განიხილება უკან დაუბრუნდებათ წარმომდგენ მხარეებს გაუხსნელ ფინანსურ წინადადებასთან და წერილთან ერთად, რომელშიც აღნიშნული იქნება, რომ ტექნიკური შეფასებისას წინადადებამ ვერ მიიღო საკმარისი ქულები. მათი ფინანსური წინადადებ არ შეფასდება კომიტეტის მიერ.
- შედეგად, ყველა კვალიფიციური წინადადების გამოვლენის შემთხვევაში, რომლებსაც ექნებათ დამაკმაყოფილებელი ტექნიკური შეფასების ქულა, გაიხსნება ფინანსური წინადადება. აღნიშნულს ახორციელებს დირექტორი ოფიციალურ ცერემონიაზე. შედგება ოქმები.
- ფინანსური წინადადებები შეფასდება ტექნიკური ოფიცრების მიერ, რომლებიც ახდენენ წინადადების შეფასების ორგანიზებას და ასევე პროექტის მრჩეველი (კონსულტანტი) - ტექნიკურ დავალებაში მითთითებული ფორმულის გამოყენებით:

$$S_f = 100\% \times F_m / F$$

სადაც :

S_f - არის შეფასებული ფინანსური წინადადების ფინანსური ქულა

F_m - არის ყველაზე დაბალფასიანი ფინანსური წინადადების მოსალოდნელი საერთო ღირებულება,

F - არის იმ ფინანსური წინადადების მოსალოდნელი საერთო ღირებულება, რომელიც განხილვის სტადიაშია

- აღნიშნული ფინანსური ქულები კვლავ დამტკიცდება კომიტეტის შეხვედრაზე.
- შედეგად, გამოითვლება ერთიანი შეფასების ქულა , საიდანაც 70% შეწონილი ქულა იქნება ტექნიკურ შეფასებაზე და 30%-ფინანსურ შეფასებაზე. წინადადებების რანგირება მოხდება უმაღლესი ერთიანი ქულის მიხედვით. რანგირება კვლავ დამტკიცდება კომიტეტის სხდომაზე და ჩაიწერება ოქმში.
- შედეგად, შედგება წინადადების შეფასების ანგარიში, სადაც განმარტებული იქნება პროცედურები და კომიტეტის დასკვნები. საბოლოო რანგირების ცხრილი, გახსნის ცერემონიის ოქმები, კომიტეტის შეხვედრების ოქმები, კომიტეტის წევრების დეკლარაციები, სატენდერო წინადადებების რეგისტრაციის ქვითარი და პირველი და მეორე ადგილზე რანგირებული სატენდერო წინადადებების ასლები გაიგზავნება RVO-ში, დადასტურების (დამტკიცების) მიზნით.
- მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება შედეგების გაცნობა კვალიფიციური მონაწილეებისათვის, რომლებსაც ექნებათ საკმარისი ტექნიკური შეფასების ქულა. პირველ რიგში მოლაპარაკება გაიმართება პირველ ადგილზე რანგირებულ მონაწილეებთან. მას შემდეგ, რაც მისი წინადადება დამტკიცდება და შეწყდება ნებისმიერი სახის სავალდებულო შემოწმება , ეცნობა მეორე მონაწილესაც.

თბილისი, 18 აგვისტო 2015 წელი – 19 აგვისტო 2015 წ.

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ყველა მონიშნული უჯრედი ნიშნავს, რომ ხელმომწერი ადასტურებს შეფასების პროცედურის სისწორეს.

Declaration of no interest and confidentiality of each committee member

I, Zviad Tsagareishvili, in my capacity of Head of Legal Unit of the Georgian Amelioration Ltd., will participate in the bid evaluation committee of the bids for the Detailed Engineering Design of the "Rehabilitation of Zemo Samgori Irrigation System", Georgia (ref. ORIO13/GE/01).

I solemnly declare that:

- I have read the Terms of References and Description of the Services to be provided and base all my evaluation on the criteria and specifications in these terms of reference only, as objectively as possible.
- I have no previous knowledge of the technical or financial proposals of any of the bidding parties and have not sustained any communication with them on the assignment, other than the formally approved notice and the formally approved written answers to the questions raised during the bid preparation stage.
- I have no personal, professional or business relations whatsoever with any of the bidding parties - as these would jeopardize the impartiality of my evaluations.
- I will maintain full confidentiality about all the technical and financial details in the bids to be evaluated and will leave it to the director to communicate about the scoring and ranking of the different bids outside the bid evaluation committee.

Tbilisi, 17 August 2015

Zviad Tsagareishvili

This signed declaration is attached to the final bid evaluation report

დეკლარაცია კომიტეტის თითოეული წევრის ინტერესის არ ქონის და კონფიდენციალურობის შესახებ
თბილისი, 2015 წლის 17 აგვისტო.

მე, ზვიად ცაგარეიშვილი, შპს „საქართველოს მელიორაციის" იურიდიული სამსახურის უფროსი, მონაწილეობას ვიღებ „საქართველო, ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის დეტალური საინჟინრო პროექტისთვის" (ref. ORIO13/GE/01) საკონკურსო წინადადებების შეფასების კომიტეტის მუშაობაში. ამასთან, ოფიციალურად ვაცხადებ, რომ:

- √ გავეცანი ტექნიკურ დავალებას და გასაწევი მომსახურეებების აღწერას და ვეყრდნობი ჩემი შეფასებისას მხოლოდ ტექნიკურ დავალებაში მითითებულ კრიტერიუმებს და სპეციფიკაციებს, შეძლებისდაგვარად ობიექტურად.
- √ არ მაქვს ინფორმაცია ტენდერში მონაწილე რომელიმე მხარის ტექნიკური ან ფინანსური წინადადებების შესახებ და არ შევსულვარ მათთან კომუნიკაციაში აღნიშნულ დავალებაზე, გარდა იმ ოფიციალურად დამტკიცებული შეტყობინებისა და ოფიციალურად დამტკიცებული წერილობითი პასუხებისა კითხვებზე, რომლებიც წარმოიშვა ტენდერის მოსამზადებელ ეტაპზე.
- √ არ მაქვს პირადი, პროფესიული ან საქმიანი ურთიერთობა ტენდერის არცერთ მონაწილე მხარესთან, რადან აღნიშნული ზემოქმედებას იქონიებს ჩემი შეფასებების მიუკერძოებლობაზე.
- √ შევინარჩუნებ სრულ კონფიდენციალურობას შესაფასებელი სატენდერო წინადადებების ყველა ტექნიკური და ფინანსური დეტალის შესახებ და გავუზიარებ მას დირექტორს, რომ მან გაასაჯაროვოს სხვადასხვა სატენდერო წინადადების ქულებით შეფასების და რანგირების შესახებ.

ხელმოწერა

ზვიად ცაგარეიშვილი

აღნიშნული ხელმოწერილი დეკლარაციები თან დაერთვის საბოლოო სატენდერო წინადადების შეფასების ანგარიშს.